საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/38

ქ. ბათუმი 24 მაისი, 2021 წ.

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 13 აპრილის №01-02/59 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 13 აპრილის №01-02/59 ბრძანებისა და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფ. თამარ სირაძის მოხსენებითი ბარათისა (MES 3 21 0000458864, 18.05.2021) და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№5, 18.05.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

დამტკიცდეს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 13 აპრილის №01-02/59 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგი და კონკურსის საფუძველზე, ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში, ინგლისური ენის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ოთხი წლის ვადით (**2025 წლის 24 მაისამდე**) არჩეული იქნეს **თეონა თედორაძე**.

2. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს **2021 წლის 24 მაისიდან**.

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და კონკურსში გამარჯვებულ პირს.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**